ნომერი: 22/01211441766-01
თარიღი: 24.05.2021 14:09
ვადა: 24.06.2021

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შპს ბაგები საიდენტიფიკაციო კოდი : 405330262
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, მამია გურიელის ქ., N5ა, საოფისე ფართი, სართული 1
საკონტაქტო ინფორმაცია: 551560512;
განცხადების N: განცხადების თარიღი:
ხელმომწერი: თანამდებობა:

შპს EPIC DEVELOPMENT საიდენტიფიკაციო კოდი : 400034850
მისამართი: საქართველო , თბილისი, ვაკის რაიონი, გაზაფხულის ქ., N6, კორ. 12, ბ. 4დ
საკონტაქტო ინფორმაცია: 595457777;
განცხადების N: განცხადების თარიღი:
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

დაუმთავრებელ მშენებლობასთან დაკავშირებით

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 1
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: საფოსტო მომსახურებით სარგებლობა

გავეცანი, თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

ხელმოწერა: _____

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
№ 22/01211441766-01
24.05.2021 : 14:09
ქ. თბილისი, გ.შარტავას ქ. N7

საქართველო
შეზღუდული
პასუხისმგებლობის
საზოგადოება
"ეპიკ დეველოპმენტი"

GEORGIA
SOCIETY WITH LIMITED
RESPONSIBILITY
"EPIC DEVELOPMENT"

თარიღი: 24.05.2021
ნომერი: 2021-05/24

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული
საკითხების განმხილველი კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ილია ელოშვილს

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულს 2021 წლის 29 იანვრის განკარგულება N 26-ის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 19 თებერვლის N 21.193.229 განკარგულების საფუძველზე, შპს „ბაგებს" (ს/კ 405330262) მიეცა თანხმობა შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით (მისამართზე: ქ. თბილისი, ბაგები (ნაკვეთი 07/011), წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.06.007.088) გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულს 2021 წლის 29 იანვრის N 26 განკარგულეისა პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად განსაზღვრულია შპს „ბაგების" ვალდებულება „შპს ბაგებმა" (ს/ნ 405330262) მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე". მოთხოვნილი საექსპერტო ბიუროს მიერ დასკვნის მომზადება დაკავშირებულია ხანგრძლივ ვადებთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები და ნება დართოთ შპს „ბაგებს", ნაცვლად სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნისა, წარადგინოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 256 დადგენილების საფუძველზე A-ტიპის აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა. როგორც აღინიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს მიერ დროულად ვერ ხერხდება ზემოაღნიშნული დასკვნის მომზადება, შესაბამისად, შპს ბაგებს გაჩერებული აქვს მიმდინარე მშენებლობა, რის გამოც, მას ადგება სერიოზული ფინანსური ზარალი.

ამასთან მოგახსენებთ, რომ შპს ბაგებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 19 თებერვლის N 21.193.229 განკარგულების საფუძველზე, სამშენებლო ნებართვის აღებამდე წინასწარ უზრუნველყო განკარგულებით განსაზღვრული თანხის გადახდა;

ასევე გაცნობებთ, რომ კომპანიას არქიტექტურის სამსახურში დარჩენილი აქვს მხოლოდ ზემოთაღნიშნული დასკვნის წარდგენის ვალდებულება, გამომდინარე აქედან კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, რომ გაითვალისწინოთ არსებული მდგომარეობა და მოგვცეთ უფლება წარმოვადგინოთ საქართველოს მთავრობის N 256 დადგენილებით განსაზღვული A –ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ქ. თბილისში, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით შპს „ბაგების" მიერ რიგი ღონისძიების განხორციელების თაობაზე გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;

შპს „EPIC DEVELOPMENT" ს/კ 400034850
დირექტორი ირაკლი კირცხალია

შპს „ბაგები" ს/კ 405330262
დირექტორი ქეთევან ბაბაჯანაშვილი

მისამართი: ქ.თბილისი, გაზაფხულის ქ. N6
ტელ.: +995 595 45 77 77
ელ-ფოსტა: kirtskhalia.irakli@gmail.com
ვებ-გვერდი: www.epicdevelopment.ge

შპს „მშენ-ექსპერტი +“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი, გულარეხის შესახვევი №23

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 406304896

GAC – IB – 0350

სსტ ისო/იეკ **17020:2012/2013**

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350
ინსპექტირების ანგარიშის №: FT-102/05/21-I102
გაცემის თარიღი: “ 25 ” 05 2021 წელი
ინსპექტირების თარიღი: 11.05÷25.05.2021 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილზე (ნაკვეთი 07/011, ს.კ. 01.14.06.007.088) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაშენების და გაძლიერების პროექტი

ვამტკიცებ,

დირექტორი _____ ა. ჭიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „ბაგები“; ს/კ 405330262 დირექტორი: ქეთევან ბაბაჯანაშვილი
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №102/05/21-I102 (11.05.2021 წ) ხელშეკრულება №C-102/05/21-I102 (11.05.2021 წ)
ინსპექტირების სფერო:	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილზე (ნაკვეთი 07/011, ს.კ. 01.14.06.007.088) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაშენების და გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება.

თბილისი
2021 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 6



ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***ალექსანდრე ნატროშვილი***

წარმოდგენილი მასალები

1. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი (1 ალბომი – და მისი შესაბამისი ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში);
2. კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი (1 ალბომი – და მისი შესაბამისი ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში);
3. შენობის კონსტრუქციული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული ანგარიში, ელექტრონული სახით (პროგრამაში Lira-Sapr 2013);
4. გეოლოგიური კვლევის ანგარიში (1 ალბომი – და მისი შესაბამისი ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში);
5. შენობის არქიტექტურული ნაწილი (1 ალბომი – და მისი შესაბამისი ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში).

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. პროექტირების ნორმები, პნ 03.01-09 – "ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები";
2. პროექტირების ნორმები, პნ 01.01-09 – "სეისმომედეგი მშენებლობა";
3. პროექტირების ნორმები, პნ 02.01-08 – "შენობებისა და ნაგებობების ფუძეები";
4. პროექტირების ნორმები, პნ 01.05-08 – "სამშენებლო კლიმატოლოგია";
5. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП 2.01.07-85 – დატვირთვები და ზემოქმედებები;

6. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП II-23-81* – ფოლადის კონსტრუქციები;
7. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП II-28-73 – სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან;
8. СНиП III-4-80 – "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";
9. MEP-TP-G06.1 – ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილზე (ნაკვეთი 07/011, ს.კ. 01.14.06.007.088) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაშენების და გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, დამუშავებული შპს „ლაინკუბი"-ს მიერ (დირექტორი: ლ. აბრამიძე, კონსტრუქტორი: თ. მეტრეველი). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია შპს „თბილინვესტპროექტი"-ს მიერ (ინჟინერ-გეოლოგი: ი. ცხომელიძე).

დაშენებას დაქვემდებარებული შენობა 6 სართულიანია, დამატებითი 2 სარდაფული სართულით. აღნიშნული შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე შპს „მშენ-ექსპერტი"-ს მიერ 2019 წელს გაცემულია დადებითი საექსპერტო შეფასება (იხ. ინსპექტირების ანგარიში №: FT-447/08/19-I447/2.

ამჟამად, განსახილველად წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია აღნიშნულ შენობაზე 3 სართულის დაშენება და მასთან დაკავშირებული გაძლიერების ღონისძიებები. შედეგად, პროექტში განხილული შენობა 9 სართულიანია, 2 დამატებითი სარდაფის სართულით, სადაც მოწყობილია ავტოსადგომები. დაშენებული სართულებიდან ორი (მე-7 და მე-8 სართულები) გავრცელებულია არსებული შენობის მთელ გაბარიტზე, ხოლო ბოლო სართული – მის ნაწილზე. საზაფხულო ტერასაზე ეწყობა დეკორატიული დანიშნულების ფოლადის კონსტრუქციებით აგებული კოჭოვანი უჯრედები.

არსებული შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სივრცული კარკასი – სვეტებით, რიგელებით და გადახურვის კოჭებით. სვეტების განივკვეთის ზომებია: 60X40 და 40X40 სმ. რიგელები დაგეგმარებულია შემდეგი განივკვეთების: 50X40, 50X20 და 70X20 სმ. სართულშუა გადახურვის ფილების სისქეები მიღებულია: ავტოპარკინგებისათვის – 20 სმ, ტიპიური სართულებისათვის – 18 სმ. შენობის მზიდი კარკასი გაძლიერებულია 20 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით, რომლებიც კიბის უჯრედებთან არის განთავსებული. გარე შემომზღუდავი კედლები მცირე ზომის ბლოკების წყობისაა სისქით 20 სმ, რომლებიც დათბუნებულია და შემოსილია ვენტილირებადი ფასადის სისტემით (HPL პანელები). ბინების გამყოფი შიგა კედლები ასევე 20 სმ სისქისაა, მცირე ზომის ბლოკების წყობის. რაც შეეხება ბინების შიდა ტიხრებს, ისინი მოწყობილია 10 სმ სისქის სატიხრე ბლოკებით. მიწისქვეშა ნაწილში დაგეგმარებულია 25 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ცოკოლის კედლები.

დაშენებული ნაწილის მზიდი კარკასი ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ აქ ეწყობა 15 სმ სისქის გადახურვის ფილები. სვეტების განივკვეთები დაშენებულ ნაწილში შეადგენს 40X40 სმ-ს, ხოლო რიგელები 50X40 სმ-ს.

შენობის საძირკვლები მონოლითური რკინაბეტონისაა, ფილის ტიპის. საძირკვლის ფილის სისქე შეადგენს 80 სმ-ს. მის ქვეშ გამოყენებულია 5 სმ სისქის დაბალმარკიანი ბეტონის მომზადება და 45 სმ სისქის დატკეპნილი ქვისა-ხრეშოვანი ნარევის ბალიში.

საძირკვლების ფუძე-გრუნტს, გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად, წარმოადგენს თიხნარი, მუქი ყავისფერი, ღორღის ჩანართებით, შემდეგი მახასიათებლებით: პირობითი საანგარიშო წინაღობა – 230 კპა (2.3 კგძ/სმ^2); დეფორმაციის მოდული – =17 მპა; ხვედრითი შეჭიდულობა – c=28 კპა; შიდა ხახუნის კუთხე – 230; სიმკვრივე – p=1.84 გ/სმ^3. გრუნტის წყალი სამშენებლო მოედანზე არ გამოვლენილა. მოედნის სეისმიურობა შეადგენს 8 ბალს.

პროექტი ითვალისწინებს ასევე, მცირე ზომის 2 სართულიანი სამეურნეო დანიშნულების მიშენების მოწყობას. მიშენება შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონით (რკინაბეტონის კედლები და გადახურვის ფილები). კედლების ქვეშ დაგეგმარებულია ლენტური საძირკვლები. მიშენება გამოყოფილია ძირითადი შენობისაგან დეფორმაციული ნაკერით და გავლენას არ ახდენს მასზე. დეფორმაციული ნაკერი ვრცელდება საძირკვლების კონსტრუქციებშიც.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია A500c და A240c კლასის არმატურა და შემდეგი კლასის ბეტონები: ბეტონის მომზადება – B7.5; მზიდი კონსტრუქციები (საძირკვლები, ცოკოლის კედლები, სვეტები, რიგელები, გადახურვის ფილები) – B25.

კონსტრუქციული გაანგარიშებები შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის Lira-Sapr--ის გამოყენებით, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემისათვის. აღნიშნულისათვის დამუშავებულია შენობის საანგარიშო მოდელი, დაშენების გათვალისწინებით. საანგარიშო მოდელი და ანგარიში თან ერთვის წარმოდგენილ პროექტს. შენობა და მისი კონსტრუქციული ელემენტები გაანგარიშებულია დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე. მოდელში გამოყენებულია შემდეგი დატვირთვები და ზემოქმედებები:

ჯგუფი 1 – მუდმივი დატვირთვები;

ჯგუფი 2 – დროებითი ტიხრების დროებითი ხანგრძლივი დატვირთვები;

ჯგუფი 3 – ხალხის, ავეჯის და მოწყობილობის დროებითი ხანგრძლივი დატვირთვები;

ჯგუფი 4 – თოვლის დროებითი ხანგრძლივი დატვირთვა;

ჯგუფი 5 – ხალხის, ავეჯის და მოწყობილობის დროებითი ხანმოკლე დატვირთვები;
ჯგუფი 6 – თოვლის დროებითი ხანმოკლე დატვირთვა;
ჯგუფი 7 – სეისმიური დატვირთვა X-ის მიმართულებით;
ჯგუფი 8 – სეისმიური დატვირთვა Y-ის მიმართულებით;
ჯგუფი 9 – დიაგონალური სეისმიური დატვირთვა მიმართული 45^0-ით;
ჯგუფი 10 – ვერტიკალური სეისმიური დატვირთვა;
ჯგუფი 11 – დიაგონალური სეისმიური დატვირთვა მიმართული 135^0-ით.

აღნიშნული დატვირთვების მნიშვნელობების გაანგარიშებები მოცემულია პროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში. ამ გაანგარიშებიის ანალიზიდან ვასკვნით, რომ გათვალისწინებული დატვირთვების მნიშვნელობები (მუდმივი, სასარგებლო, თოვლის, ქარის და სეისმიური დატვირთვები) თანხვედრაშია პროექტირების ნორმების მოთხოვნებთან, ხოლო გამოყენებული კონსტრუქციული საანგარიშო მოდელი შესაბამისობაშია რეალურ საპროექტო შენობასთან, კერძოდ: გადახურვებზე დროებითი სასარგებლო ნორმატიული დატვირთვები (ხალხის, ავეჯის და მოწყობილობის დროებითი ნორმატიული დატვირთვები) მიღებულია СниП 2.01.07-85*- Нагрузки и Воздействия, პუნქტი 1.8. в) მითითების და ცხრ. 3-ის მონაცემების მიხედვით:

– ნორმატ. დატვირთვები ბინებში – 150 კგ/მ^2 (ცხრილი 3, პ. 1);
– ნორმატ. დატვირთვები საოფისე სივრცეში – 200 კგ/მ^2 (ცხრილი 3, პ. 2);
– ნორმატ. დატვირთვები აივნებზე – 200 კგ/მ^2 (ცხრილი 3, პ. 10 ბ));
– ნორმატ. დატვირთვები კორიდორებში და კიბის უჯრედებში – 300 კგ/მ^2 (ცხრილი 3, პ. 12а));
– ნორმატ. დატვირთვები საზაფხულო ტერასაზე – 150 კგ/მ^2 (ცხრილი 3, პ. 9 ბ));
– ნორმატ. დატვირთვებისათვის მსუბუქი მანქანების პარკინგისათვის მიღებულია 300 კგ/მ^2;
– ნორმატ. დატვირთვებისათვის მსუბუქი მანქანების პარკინგისათვის მიღებულია 300 კგ/მ^2.

საანგარიშო დატვირთვები გამოთვლილია ნორმატიული დატვირთვების საფუძველზე, დატვირთვის საიმედოობის კოეფიციენტების გამოყენებით, СниП 2.01.07-85*- Нагрузки и Воздействия, მითითების შესაბამისად.

ინსპექტირებისას კონსტრუქციული გაანგარიშებები გადამოწმებული იქნა „LIRA SAPR 2016 PRO“ ლიცენზირებული ვერსიით №1/5515.

კონსტრუქციული გაანგარიშების ანალიზიდან ირკვევა:

– ფუძე-გრუნტზე დაწნევის მნიშვნელობა (როგორც მისი მაქსიმალური, ასევე საშუალო მნიშვნელობები) არ აჭარბებს ნორმებით განსაზღვრულ დასაშვებ სიდიდეს და შესაბამისად ფუძე-გრუნტის მზიდუნარიანობას დაშენების განხორციელება საფრთხეს არ უქმნის. შენობის მდგრადობა ამ მხრივ უზრუნველყოფილია, დაშენებასთან დაკავშირებული დამატებითი დატვირთვების გათვალისწინებით;

– უზრუნველყოფილია ასევე საძირკვლის კონსტრუქციის სიმტკიცეც. ფილის ტიპის საძირკვლის განივკვეთი (სისქე 80 სმ) და არმირება (ქვედა და ზედა შრების მუშა არმატურა და განივი არმირება) საკმარისია და უზრუნველყოფს შენობის სიმტკიცესა და მდგრადობას მოსალოდნელ (ნორმებით განსაზღვრულ) დატვირთვებსა და ზემოქმედებებზე, დაშენებასთან დაკავშირებული დამატებითი დატვირთვების გათვალისწინებით;

– დამაკმაყოფილებელია ცოკოლის კედლების და დიაფრაგმების განივკვეთები და არმირება, დაშენებასთან დაკავშირებული დამატებითი დატვირთვების გათვალისწინებით;

– დამაკმაყოფილებელია გადახურვის ფილების და რიგელების დაგეგმარებული განივკვეთები და არმირება როგორც შენობის ძველ, ასევე ახალ (დაშენების) ნაწილში;

– არ არის დამაკმაყოფილებელი შენობის ძველი ნაწილის რიგი სვეტების არმირება, რომელთათვისაც წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებს სპეციალური გაძლიერების ღონისძიებებს.

საპროექტო გადაწყვეტილებით სვეტების გაძლიერება წარმოებს მათზე ფოლადის კონსტრუქციების ბანდაჟების მოწყობით, მათი შემდგომი შელესვით. გაძლიერების ბანდაჟები დაკავშირებულია სვეტების მიმდებარე კონსტრუქციებთან (რიგელებთან და საძირკვლის ფილასთან), საანკერო ჭანჭიკების მეშვეობით. სვეტების გაძლიერების წარმოდგენილი სქემა მართებულია და გაძლიერების ელემენტების განივკვეთები და კონსტრუქცია აკომპენსირებს დაშენების პირობებში სვეტების მუშა არმატურის ფართობის დეფიციტს და სავსებით უზრუნველყოფს შენობის სიმტკიცესა და მდგრადობას ახალ პირობებში.

დაშენებული ნაწილის ძველთან დასაკავშირებლად, პროექტი ითვალისწინებს ძველ სვეტებში არმატურის ღეროების ჩასმას. ჩასმა ხორციელდება ე.წ. ქიმიური ჩაანკერების მეშვეობით. ჩაანკერებების კვანძები გათვლილია მოცემული არმატურის ღეროს მაქსიმალური მზიდუნარიანობისათვის, რაც უზრუნველყოფს შენობის ძირითადი და დაშენებული ნაწილების საიმედო კავშირს.

პროექტში ახალი დაშენებული ნაწილისათვის მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტები ასევე პასუხობს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს შენობის სიმტკიცესა და მდგრადობას მოსალოდნელ (ნორმებით გათვალისწინებულ) დატვირთვებსა და ზემოქმედებებზე.

საპროექტო დოკუმენტაციის შესრულების ხარისხი კარგია. გრაფიკული ნაწილი დამუშავებულია დაწვრილებით, კონსტრუქციული დეტალების ასახვით. საპროექტო დოკუმენტაცია შესრულებულია მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით და მის მიმართ ექსპერტიზას შენიშვნები არ აქვს.

ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილზე (ნაკვეთი 07/011, ს.კ. 01.14.06.007.088) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაშენების და გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილში გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

დანართი – პროექტი თან ერთვის დასკვნას ელ-ვერსიით.

დასკვნა

ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილზე (ნაკვეთი 07/011, ს.კ. 01.14.06.007.088) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაშენების და გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შეესაბამება სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს. ამასთან, ფუძე-გრუნტის მზიდუნარიანობა საკმარისია და საძირკვლების კონსტრუქცია უზრუნველყოფს შენობის სიმტკიცესა და მდგრადობას მოსალოდნელ (ნორმებით განსაზღვრულ) დატვირთვებსა და ზემოქმედებებზე, დაშენებასთან დაკავშირებული დამატებითი დატვირთვების გათვალისწინებით. პროექტით განსაზღვრული სვეტების გაძლიერების ღონისძიებები მართებულია და ასევე უზრუნველყოფს შენობის სიმტკიცესა და მდგრადობას მოსალოდნელ (ნორმებით განსაზღვრულ) დატვირთვებსა და ზემოქმედებებზე, დაშენებასთან დაკავშირებულ დამატებით დატვირთვების გათვალისწინებით.

ქ. თბილისში, ბაგები, წყნეთის გზატკეცილზე (ნაკვეთი 07/011, ს.კ. 01.14.06.007.088) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაშენების და გაძლიერების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე, ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი: /ა. ნატროშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი: /დ. ტაბატაძე/

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /ა. ჭიპაშვილი/

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო –
აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0350

ადასტურებს, რომ

შპს „მშენ-ექსპერტი +“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გუდარეხის შესახვევი №23;
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, გიორგი მიროტაძის ქ. №6;
შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
09 თებერვალი 2021 წ.

ძალაშია
09 თებერვალი 2025 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“

KA990154623612421

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო
-აკრედიტაციის ცენტრი

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

LEPL NATIONAL BODY OF ACCREDITATION
ACCREDITATION CENTER

0186, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა

42[a] Al. Kazbegi Ave, 0186, Tbilisi, Georgia

Tel: + 995 2 19 22 33
Fax: + 995 2 39 93 48;
E-mail: gac@gac.gov.ge

№ GAC-03/106

10 / თებერვალი / **2021** წ.

შპს „მშენ-ექსპერტი +"-ს A - ტიპის ინსპექტირების ორგანოს

გიგზავნით, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი"-ს გენერალური დირექტორის 2021 წლის 09 თებერვლის № 06/27 განკარგულებას, არედიტაციის მოწმობას და თანდართულ აკრედიტაციის სფეროს.

დანართი: აკრედიტაციის მოწმობა, სფერო და განკარგულება.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“

განკარგულება

KA990108174596221

№ **06/27** 09 / თებერვალი / 2021 წ.

შპს „მშენ-ექსპერტი +“-ს **A** - ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის **N01**-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების და პროცედურების" საკ 1.1:2020 - „აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“-ს მე-10 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, საკ 1.7:2020 "წესები და პროცედურები ინსპექტირების ორგანოების სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013 შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“ და საკ 1.10:2020 – „აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შშო-ების რეესტრის წარმოების წესი“-ის მე-3 მუხლის საფუძველზე,

1. შპს „მშენ-ექსპერტი+“-ს A-ტიპის ინსპექტირების ორგანო დადებითად შეფასდეს საქართველოს სტანდარტთან ისო/იეკ 17020:2012/2013 შესაბამისობაზე და მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. გაიცეს აკრედიტაციის მოწმობა თანდართულ აკრედიტაციის სფეროსთან ერთად.

3. შესაბამისი ინფორმაცია შეტანილ იქნას აკრედიტებული შშო-ების რეესტრში და გამოქვეყნდეს აკრედიტაციის ცენტრის ვებგვერდზე www.gac.gov.ge.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი:

1. აკრედიტაციის კომიტეტის 2021 წლის 05 თებერვლის გადაწყვეტილება.
2. აკრედიტაციის სამსახურის უფროსის ნესტან მგელაძის 2021 წლის 08 თებერვლის **№ 80-04/GAC** მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0350
განკარგულება № 06/27
თარიღი: 09.02.2021 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციი ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე



A ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „მშენ-ექსპერტი+“

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გუდარეხის შესახვევი №23;
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, გიორგი მიროტაძის ქ. №6;

1	2	3	4
1	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება.	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, სამუშაო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР) სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН) -ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი – მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 8. B-E – TP-G01- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
2	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება: • დადგენილ მოთხოვნებთან, სამუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან; • კონკრეტული მომწოდებლის რესურსებთან და შესაძლებლობებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV -82); 2. ერთიანი ნორმები და ფასები - (ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН) -ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი -„სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკა“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბერი, დადგენილება №439) 8. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 9. B-E – TP-G02 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
3	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა N2-ის მიხედვით).	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები;

		მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისათვის არსებულ სამუშაო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან;	4. (B3EP)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (CCH)- ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო ადდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი – მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 8. B-E - TP-G03- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები
4	ობიექტის (შენობების, ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების,ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია გაგრილების ქსელების და სისტემების, წყლის და წყალარინების ქსელების და სისტემების, გაზის ქსელებისა და სისტემების პირველადი ინსპექტირება - ექსპლუატაციაში მიღების წინა ინსპექტირება, პერიოდული ინსპექტირება დაბრკოლების მოთხოვნით. ზღვარი: საშუალო და დაბალი წნევის, მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები წნევა - 0,კგს/სმ² დან - 0,005 კგს/სმ²-ჩათვლით. • საშუალო წნევის, მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 0,005 კგს/სმ²-დან - 3 კგს/სმ²-ჩათვლით.	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვარის N41 დადგენილება); 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 6. Правила устройства электроустановок (ПУЭ); 7. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 8. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 9. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 10. ტექნიკური რეგლამენტი: „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" (საქართველოს მთავრობის N101 დადგენილება 2014 წლის 22 იანვარი); 11. ტექნიკური რეგლამენტი: „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N257, 2014 წლის 26 მარტი);

	• მეორე კატეგორიის მაღალი წნევის მილის ზედა და მილის ქვედა გაზსადენები, წნევით: 3 კგ/სმ² -დან - 6 კგ/სმ²-ჩათვლით. • პირველადი კატეგორიის მაღალი წნევის მილის ზედა და მილის ქვედა გაზსადენები, წნევით: 6 კგ/სმ²-დან - 12 კგ/სმ²-ჩათვლით) ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება.		12. ტექნიკური რეგლამენტი „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის N101 დადგენილება; 13. B E TP G04 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
5	ობიექტის (შენობების, ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ზე ზევით), სუსტი დენების, გათბობა-კონდიციონირების-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყლის და წყალარინების ქსელების და სისტემების, და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. Правила устройства электроустановок (ПУЭ); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014წ. 27 ივნისის დადგენილებაში №361); 5. საქართველო ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვარის N41 დადგენილება); 8. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 9. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 10. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“

			(საქართველოს მთავრობის დადგენილება N340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 11. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 12. ტექნიკური რეგლამენტი: „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" (საქართველოს მთავრობის N101 დადგენილება 2014 წლის 22 იანვარი); 13. ტექნიკური რეგლამენტი: „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N257, 2014 წლის 26 მარტი); 14. ტექნიკური რეგლამენტი „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის N101 დადგენილება; 15. B-E – TP-G05 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
6	სამშენებლო ობიექტის პროექტის: • საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის; • არქიტექტურული ნაწილის; • კონსტრუქციული ნაწილის (შენობების და ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების); • საინჟინრო ქსელების: (ელ. მომარაგება 1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით, სუსტი დენები და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; • საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილი;	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია; ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 6. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 7. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 8. Правила устройства электроустановок (ПУЭ) издание 6; 9. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 10. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის N41 დადგენილება); 11. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის

- საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიციონერება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილი;
- საინჟინრო ქსელების: გაზმომარაგება და მათი ტექნოლოგიური ნაწილი;
- შრომის უსაფრთხოების ნაწილის (მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი);
- სახანძრო უსაფრთხოების ნაწილის

მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.

28 იანვრის დადგენილება N41);

12. ტექნიკური რეგლამენტი: „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N257, 2014 წლის 26 მარტი);
13. ტექნიკური რეგლამენტი „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“ – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის N101 დადგენილება;
14. ტექნიკური რეგლამენტი: „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება,#361, 2014 წლის 27 მაისი);
15. ტექნიკური რეგლამენტი: “ სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები“ (მთავრობის დადგ.#477,27.10.2017)
16. B-E – TP-G06 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.